# საბჭოთა მოჭადრაკე ქალები — ოლიმპიადის ჩემპიონები



ნ. გაფრინდაშვილი



ა. კუშნირი



ი. ლევიტინა

სკოპლე, 10 ოქტომბერი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარ ფინალში 12 ტურის შემდეგ ორი ლიდერია: საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის გუნდები. თითოეულ მათგანს 33,5 ქულა აქვს. ასეთი სიტუაცია შეიქმნა დღეს გადადებული პარტიების დამთავრების შედეგად. წინადღით ამერიკელებთან ჯერ კიდევ ძირითად დროში მოგებული (3:1) მატჩის შემდეგ საბჭოთა დიდოსტატები უცდიდნენ არგენტინა—უნგრეთის მატჩში შეწყვეტილი ორი პარტიის შედეგს. ორივე ორთაბრძოლამ წარმატება უნგრეთის მოჭადრაკეებს მოუტანა: ფორინტოშმა დაამარცხა ემა, ჩომმა — პაზე. მანამდე პორტიშმა მოუგო გარსიას, რიბლიმ — დებარნოტს. ამრიგად, უნგრეთის მოჭადრაკეებმა ეს შეხვედრა „მშრალი" ანგარიშით (4:0) მოიგეს და ლიდერებს — საბჭოთა დიდოსტატებს გაუტოლდნენ.

რაც შეეხება იუგოსლაველებს, ისინი ყაიმს დასჯერდნენ ბულგარელებთან მატჩში — 2:2. გლიგორიჩი (იუგოსლავია) თამაშის განუახლებლად დანებდა ბობოცოვს, ტრინგოვი კი ახალგაზრდა ნიჭიერ იუგოსლაველ მოჭადრაკე ლიუბოევიჩს. მანამდე ყაიმზე შეთანხმდნენ მაქსიმოვიჩი (იუგოსლავია) — რადულოვი და ველიმიროვიჩი (იუგოსლავია) — პადევსკი. ამრიგად, მასპინძლები 30 ქულით III ადგილზე არიან.

სხვა მატჩებმა (გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ) ასეთი შედეგები მოგვცა: ჰოლანდია — რუმინეთი — 2:2, გფრ — ესპანეთი — 2.5:1,5, გდრ — დანია — 2:2, პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია — 1,5:2,5.

ლიდერთა სამეულს მიჰყვებიან: გფრ, რუმინეთი — 27,5 — 27,5 ქულა, ჩეხოსლოვაკია — 26, ბულგარეთი — 25,5, ჰოლანდია — 23,5, აშშ, ესპანეთი, გდრ — 22 — 22, პოლონეთი — 20,5, შვეცია — 19,5, არგენტინა — 17,5, დანია 17, შვეიცარია — 16,5.

სკოპლე, 11 ოქტომბერი. იუგოსლავიის ამ ქალაქში მიმდინარე ქალთა V საჭადრაკო ოლიმპიადაში გაიმარჯვეს საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეებმა. ხუთჯერ მონაწილეობდნენ ისინი უდიდეს საჭადრაკო შეჯიბრებაში და ხუთივეჯერ ოქროს მედლები მოიპოვეს. წარმატება სკოპლეში სრული და დამაჯერებელია — ფინალური ასპარეზობის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე საბჭოთა მოჭადრაკე ქალებმა I ადგილი გაინაღდეს.

VI ტურში ისინი გფრ-ის გუნდს შეხვდნენ და შესვენებამდე დაამარცხეს მეტოქეები — 2:0. გაფრინდაშვილმა მოუგო ლააკმანს, ლევიტინამ — კარნერს. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა 10 ქულა დააგროვა. II ადგილზე არიან უნგრეთის მოჭადრაკეები — 6,5 ქულა (ერთი პარტია გადადებულია). უნგრეთის წარმომადგენლები ჯერჯერობით აგებენ (0:1) მატჩს გდრ-ის გუნდთან. სატურნირო ცხრილში მესამე სტრიქონი უკავია ბულგარეთის ნაკრებს — 5,5(1).

წარმატებით გამოდის საბჭოთა კავშირის ვაჟთა გუნდიც. XIII ტურში საბჭოთა დიდოსტატები ესპანელებთან თამაშობდნენ, შესვენებისთვის დაწინაურდნენ (1,5:0,5) და 35 ქულით (2 პარტია გადაიდო) ლიდერობას განაგრძობენ. სმისლოვმა დაამარცხა მედინა, კორჩნოი კი ყაიმზე შეუთანხმდა პომარს.

მოგვყავს XIII ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები: შვეიცარია — ჰოლანდია 1:2 (1 პარტია გადაიდო), ჩეხოსლოვაკია — შვეცია 4:0, დანია — პოლონეთი 2:2, იუგოსლავია — გდრ 1,5:1,5 (1), აშშ — ბულგარეთი 1,5:2,5, არგენტინა — გფრ 0,5:1,5 (2), რუმინეთი — უნგრეთი 1,5:1,5 (1).

საბჭოთა მოჭადრაკეებთან ერთად ოქროს მედლებისთვის ბრძოლას განაგრძობენ უნგრელები — 35 (1) და იუგოსლაველები — 31,5 (1). IV ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 30, V — გფრ — 29 (2), VI რუმინეთი 29 (1).

ოლიმპიადის დამთავრებამდე ორი ტურიღა დარჩა. დღეს საბჭოთა დიდოსტატები არგენტინის გუნდს ხვდებიან.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 203 (4713)

1972 წ. 12 ოქტომბერი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


# დებიუტანტებიდან „მთების მეფის" ტიტულამდე

სტრიი, 10 ოქტომბერი. XII ეტაპზე საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლა კარპატის მთებს გამოეთხოვა. შეჯიბრების მონაწილეები სამი შეკარის გადალახვის შემდეგ საათში საშუალოდ 37,7 კმ სიჩქარით მიჰქროდნენ და ასე მიაღწიეს ამ უძველეს ქალაქს. „ავანგარდის" სტადიონზე ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა 22 წლის კუიბიშეველმა სერჟანტმა ვ. კირიჩენკომ — 4:07.48. მასთან თითო წამი წააგეს ასეთი ასპარეზობის დებიუტანტმა, რიგელმა არმიელმა ა. იაკობსონმა და ტაშკენტელმა ა. დიკუსარმა.

მრავალდღიანი ველორბოლის სტარტზე 20 წლის ლატვიელ მრბოლელს, რომლის სპორტული ბიოგრაფიაც ამ შვიდი წლის წინ ქალაქ დობელში დაიწყო მწვრთნელ ა. მაილიტისთან, ბედმა უმტყუნა — წაიქცა. ახლა კი იგი რევანშს იღებს. დროგობიჩში იაკობსონი მესამე იყო, მუკაჩოვოში და აქ კი ეტაპების მეორე პრიზიორი. მან ბევრი მეტოქე ჩამოიტოვა, რომელთა შორის 7 სპორტის დამსახურებული ოსტატი იყო. ამასთან, იაკობსონს, რომელმაც დღეს საკავშირო ველოტურის „მთების მეფის" ტიტული მოიპოვა (ორი სამთო საშუალედო ფინიში მოიგო), ოსტატის წოდება მხოლოდ წლეულს მიენიჭა.

სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა თვალი დაადგეს ნიჭიერ დებიუტანტს. მასზე კარგი აზრისაა საკავშირო ველოტურის ამჟამინდელი ლიდერი რ. კალნენიექსიც (12 ეტაპის ჯამში მისი დროა 37:27.08).

12 ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში კვლავ წინ არიან კუიბიშევის ნაკრების მრბოლელები — 112:24.06. შემდეგ მოდიან ლატვიის წარმომადგენლები 112:47.05, და მოლდაველთის ველოსიპედისტები — 112:51.32.

ველოსპორტი



სურათზე: მსოფლიო ექს-ჩემპიონის ტ. პეტროსიანისა და უნგრელი დიდოსტატის ლ. პორტიშის შეხვედრა.

საქდესის ფოტო.

# კალენდარი... 1974 წლამდე

რო[illegible]ც გფრ-ის ფეხბურთის ფედერაცი[illegible] გამოაცხადა, მის ნაკრებს მტკიცედ დაგეგმილი კალენდარი აქვს 1974 წლამდე, ე. ი. მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე.

აი, ეს კალენდარიც. წლეულს 19 ნოემბერს გფრ-ის ნაკრები შეხვდება შვეიცარიის გუნდს, 1973 წლის 14 თებერვალს — არგენტინელებს ან ჩრ. ირლანდიელებს, 28 მარტს — ჩეხოსლოვაკიელებს, 9 მაისს — იუგოსლაველებს, 12 მაისს — ბულგარელებს, 16 მაისს — ბრაზილიელებს. 5 სექტემბერს გერმანელები მოსკოვში ითამაშებენ სსრ კავშირის ნაკრების წინააღმდეგ, 10 ოქტომბერს — პორტუგალიელებთან, 13 ოქტომბერს — საფრანგეთის ნაკრებთან, 14 ნოემბერს — შოტლანდიასთან, 24 ნოემბერს — ესპანეთთან.

1974 წლის 23 თებერვალს გერმანელებს კიდევ ერთი შეხვედრა ექნებათ ესპანელებთან, 26 თებერვალს — პორტუგალიელებთან, 27 მარტს — შოტლანდიელებთან, 20 აპრილს — უნგრელებთან. 1 მაისს გერმანელები ბოლო საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ მსოფლიო პირველობის წინ შვედებთან.

ფეხბურთი

# აშკარა უპირატესობით

ბურგასი, 10 ოქტომბერი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრები კვლავ წარმატებით იბრძვის ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში. დღეს მისი მეტოქე იტალიის გუნდი იყო.

შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, პირველ 10 წუთში გადაწყდა. იტალიელებმა ვერ გაუძლეს ევროპის ჩემპიონის თავბრუდამხვევ შეტევებს, სადაც განსაკუთრებით აქტიური თამაშით გამოირჩეოდნენ ფერიაბნიკოვა — ბილმაიერი და ახალგაზრდა სუხარნოვა. როდესაც ანგარიში გახდა 24:4, საბჭოთა გუნდის მწვრთნელმა ლ. ალექსეევამ მოედანზე მეორე შემადგენლობა გამოიყვანა. მაგრამ ძალთა შეფარდება მაინც არ შეცვლილა. საბჭოთა კალათბურთელები ენერგიულად თამაშობდნენ თავდასხმაში და ოსტატურად იცავდნენ საკუთარი ფარის მისადგომებს. ტაიმი ევროპის ჩემპიონმა მოიგო დიდი ანგარიშით — 48:13.

ინიციატივას შესვენების შემდეგაც საბჭოთა გუნდი ფლობდა. მატჩის საბოლოო შედეგი — 93:37 — მეტყველებს, რომ ევროპის ჩემპიონი მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა იდგა.

გთავაზობთ III ტურის დანარჩენი მატჩების შედეგებს: უნგრეთი — იუგოსლავია 64:46 (37:23), რუმინეთი პოლონეთი 47:46 (15:20), ჰოლანდია ავსტრია 62:55 (20:31), ბულგარეთი — გდრ 63:55 (31:21), ჩეხოსლოვაკია — საფრანგეთი 54:38 (26:23).

* * *

გთავაზობთ ჯგუფური ტურნირების შეხვედრათა კალენდარს.

12 ოქტომბერი. საფრანგეთი — ავსტრია, გდრ — ჰოლანდია, ჩეხოსლოვაკია — ბულგარეთი, უნგრეთი — პოლონეთი, რუმინეთი — იტალია, იუგოსლავია — სსრ კავშირი.

14,15 და 16 ოქტომბრის ფინალური მატჩები ვარნის სპორტისა და კულტურის სასახლეში ჩატარდება.

# ძვირფასი საჩუქარი

ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურის საშუალო სკოლას წლების მანძილზე შესაფერისი შენობა არ ჰქონდა, სპორტდარბაზზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

წლეულს მოსწავლეები კეთილმოწყობილ სკოლაში გადავიდნენ. აქვთ შესაფერისი ინვენტარით აღჭურვილი სპორტული დარბაზიც. არ შეიძლება არ აღინიშნოს ზესტაფონმშენის ორგანიზაციის თავდადებული შრომა სკოლის საუკეთესო შენობისა და დარბაზის აგებისთვის.

ა. განუგრავა.

მიმდინარეობს რეიდი-შემოწმება

როგორ ემზადებიან ბაზები ზამთრის სპორტული სეზონისთვის

# ცარიელი სტადიონები

ახლახან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმის მიზნით დაადგინეს ჩატარებულიყო რეიდი სპორტული ბაზების გამოყენებისა და ზამთრის სეზონისთვის მზადყოფნის შესამოწმებლად.

გადავწყვიტეთ გვენახა თბილისის რამდენიმე სპორტული ბაზა, გავცნობოდით მათს მდგომარეობას, შეგვემოწმებინა, როგორ არის ეს ბაზები გამოყენებული „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მოსახლეობის მოსამზადებლად. საგანგებოდ შევარჩიეთ დასვენების დღე — შაბათი. მშვენიერი, გრილი ამინდი იყო. ასეთ ამინდში სარბენ ბილიკებზე და მძლეოსნურ სექტორებში წავარჯიშებას რა სჯობს. ასეთ დღეებში განსაკუთრებით ბევრი სამუშაო უნდა ჰქონდეთ ფიზკულტურის მეთოდისტებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, ყველა სპორტულ მუშაკს, ვინც სპორტში მოსახლეობისა და ახალგაზრდობის ჩაბმის საქმეს ემსახურება.

მაშ ასე, სარეიდო ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ რესპუბლიკური სპორტკომიტეტის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის წარმომადგენლები და ჟურნალისტები, გზას დაადგა. პირველი შესამოწმებელი ობიექტი აღმოჩნდა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის სტადიონი „ცისარტყელა" კალინინის რაიონში. ნუ იფიქრებს მკითხველი, თითქოს სტადიონის შესასვლელში ლამაზად გაფორმებული პლაკატები, ლოზუნგები და მოწოდებები შემოგვეგება. რაიონში ერთადერთი სტადიონი დაკეტილი აღმოჩნდა, თუმცა უკვე დღის 12 საათი იყო. ერთადერთი, რაც „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის არსებობაზე მიგვანიშნებდა, იქვე, ბორცვის ფერდობზე გამოკიდებული ულიმღამო წარწერა იყო: „ახალი კომპლექსის ნორმატივები ყველამ უნდა ჩააბაროს!" გასახდელის შესასვლელში ამ კომპლექსის ნორმატივების ცხრილიც იყო გამოკრული. ბაზის დირექტორმა ვ. ასრიანმა დაბეჯითებით გვითხრა: არავინ მოვიდა და სტადიონი იმიტომაც არ გავაღეთო. გვაინტერესებს, შექმნილია თუ არა სტადიონზე ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად მოსამზადებელი ჯგუფები, ხშირად ეწყობა თუ არა ჩაბარება, მუშაობს თუ არა ნორმატივების მიმღები კომისია, აქვთ თუ არა კომპლექსის ნორმატივებში მეცადინეობისა და გამოცდების გრაფიკი, ტარდება თუ არა ჩაბარების აღრიცხვა? პასუხი ერთია: არა! დირექტორი ძალიან გაოცდა, როცა გაიგო, რომ ყველა ამ საქმის მოგვარება მისი პირდაპირი მოვალეობაა. არადა, თვითონ სტადიონი საკმაოდ კარგია. აქვს ჩინებულად მოვლილი საფეხბურთო მინდორი, სარბენი ბილიკი, ხტომისა და ტყორცნის სექტორები, აუცილებელი ინვენტარი. მაგრამ ამ ბაზას მხოლოდ ფეხბურთელები იყენებენ, ისიც იშვიათად, ათასში ერთხელ. მართალია, სტადიონი ისეთ ადგილზეა, რომ მისვლა ძნელია, მაგრამ ეს ვერ გაამართლებს რაიონის ფიზკულტურის კოლექტივების უმოქმედობას და უინტერესობას. ისინი ბაზას არ იყენებენ ახლაც კი, როცა მთელს საბჭოთა კავშირში წყდება სახელმწიფო ამოცანა — მოსახლეობის მასობრივად ჩაბმა ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში. სტადიონის დღევანდელი მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ რაიონის ახალგაზრდობა აქტიურად ჯერაც არ შესდგომია კომპლექსის ნორმატივებისა და მოთხოვნების ჩასაბარებლად მზადებას.

სტადიონი „ისანი"... დღის პირველი საათია. შესასვლელ კარს ბოქლომი არ ადევს, მაგრამ სანთლით რომ ეძებო, სტადიონის მუშაკთაგან ვერავის იპოვი. დარაჯის კვალსაც კი ვერ მივაგენით. მხოლოდ მოედანზე მოუყრიათ თავი მეზობლად მდებარე სკოლის ბიჭებს და ბურთაობით ერთობიან.

საცოდავი სანახავია სტადიონის ტერიტორია — ოღროჩოღრო საფეხბურთო მინდორზე კისერს მოიტეხს კაცი, მძლეოსნური სექტორები, სარბენი ბილიკები ბალახითაა დაფარული, ირგვლივ ქვები, რკინის ნამტვრევები, ნაგავი ყრია. ამ სურათს ავვირგვინებს დახეთქილი აგურის გალავანი, ორმოები, დაჟანგული სპორტინვენტარი. სტადიონის დირექტორს აღარ დაველოდეთ. ან რა ექნებოდა სათქმელი, ისედაც ყველაფერი ცხადზე უცხადესი იყო — ასეთ ბაზაზე რაიმე მნიშვნელოვან ფიზკულტურულ — სპორტულ მუშაობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.







„ისანი". ძალიან შორს დგას ახალი კომპლექსის ცხოვრებაში დანერგვის მნიშვნელოვანი ამოცანისგან. იგი უვარგისია ნორმალური მუშაობისთვის და ეს არავის აღელვებს.

როგორღაა საქმე სხვა, არა რიგითს, არამედ დღეისთვის რესპუბლიკის მთავარ სტადიონზე — „ლოკომოტივზე?" იქით მივიჩქარით. კომპლექსის თვალსაჩინო აგიტაციის მხრივ ყველაფერი რიგზეა. უამრავი წარწერა და ლოზუნგი ახალგაზრდობას მოუწოდებს იყოს ძლიერი, მოქნილი, მამაცი, მასობრივად გამოვიდეს კომპლექსის სტარტზე. მოუწყვიათ კომპლექსის ნორმატივებისა და მოთხოვნებისადმი მიძღვნილი სტენდები. ეს ყველაფერი სტადიონზეა, შიგნით. კარგი იქნებოდა გარეთაც გაეკრათ პლაკატი, თუნდაც ასეთი: „ძვირფასო თბილისელებო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს სტადიონზე კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად!" არ ივარგებდა? იქვე უნდა ყოფილიყო ცნობა, რომ ახალი კომპლექსის კომისია მზადაა დაეხმაროს ყველა ორგანიზაციასა და ცალკეულ მსურველებს წვრთნასა და ნორმატივების ჩაბარებაში. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ასეთი კომისია, რომელსაც სტადიონის დირექტორის მოადგილე ო. მაისურაძე ხელმძღვანელობს, მართლაც ყოველ წუთს მზადაა დასახმარებლად. სტადიონზე შექმნილია პუნქტი, აქვთ აუცილებელი ინვენტარი, ჰყავთ ინსტრუქტორები, მაგრამ... „ძალიან პასიურობენ უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოების, სკოლების ფიზკულტურის კოლექტივები, — ამბობს ო. მაისურაძე. — მართალია, ზოგჯერ მოდიან პატარ-პატარა ჯგუფები, რომელთაც ვარჯიში და ნორმატივების ჩაბარება სურთ, მაგრამ ეს მასობრივად არ ხდება. სასიამოვნო გამონაკლისი იყო თბილისის წვევამდელთა ამასწინანდელი სპარტაკიადა, რომელიც მასობრიობით გამოირჩეოდა. ამ დღეებში დიდ აქტიურობას იჩენს თბილისის უნივერსიტეტი — ასობით სტუდენტი ემზადება ნორმატივების ჩასაბარებლად".

მართლაც, ბილიკზე გამოვიდა გოგონათა და ჭაბუკთა დიდი ჯგუფი. დაიწყო ტანვარჯიში, რბენა, სტარტის შესწავლა, ბირთვის კვრა. ერთი სიტყვით, იმათ ყურებას არაფერი ჯობდა. ასე გადადგეს უნივერსიტეტის პირველკურსელებმა პირველი ნაბიჯი კომპლექსის სამკერდე ნიშნებისკენ.

ზამთრის საცურაო აუზი... ცურვაში ნორმატივების ჩამბარებლებისთვის კარგად უზრუნია რესპუბლიკური სპორტკომიტეტის სპორტული კომბინატის დირექციას. შექმნილია კომპლექსის კომისია, მუშაობს მსაჯთა კოლეგია, ჰყავთ ინსტრუქტორები. მაგრამ აქაც იგივე საკითხი დგას — ორგანიზაციების პასიურობა. ცურვაში ნორმატივებს უმეტესად სპორტსმენები აბარებენ. ცურვის სწავლა კი აქ არ შეიძლება — წყალი ღრმაა.

მაშ ასე, შევაჯამოთ. რეიდმა გვიჩვენა, რომ, თუ „ლოკომოტივის" სტადიონი და სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის აუზი მზად არიან ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მსურველთა მისაღებად, „ცისარტყელა" და „ისანი" ამ საქმისთვის არაფერს აკეთებენ. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია „ისანი", რომელიც მსხვილი საწარმოების გვერდით მდებარეობს. ნუთუ ეს ყველაფერი არ აღელვებს რაიონული და საქალაქო სპორტკომიტეტების ხელმძღვანელებს?

„ლელოს" ბრიგადა.

• • •

სურათებზე: აი, ასე გამოიყურება „ისნის" „გალავანი"; ხტომის სექტორში დიდი ხანია ადამიანს ფეხი არ დაუდგამს; ფეხბურთის კართან დახვავებული ნაგავი; ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ემზადებიან უნივერსიტეტის პირველკურსელები.





## დაასახელეთ თქვენი რჩეულები

10 ოქტომბერს ჩელიაბინსკში მოეწყო სპორტლოტოს მორიგი, 28-ე ტირაჟი. ამჯერად მომგებიანი აღმოჩნდა შემდეგი ნომრები: 1 (ავიასპორტი), 2 (ავტოსპორტი), 27 (მოტოსპორტი), 31 (ცურვა), 39 (სამბო), 41 (ჩოგბურთი).

• • •

დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, „სპორტლოტოს" 33-ე ტირაჟი 30 ნოემბერს ჩატარდება თბილისში. როგორც ცნობილია, სატირაჟო დოლიდან ბურთებს, იღებენ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი: სპორტსმენები, მსახიობები, მუშა-მოსამსახურეები, „სპორტლოტოს" წინა ტირაჟებში გამარჯვებულნი.

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველო მკითხველებს მიმართავს თხოვნით — დაასახელონ საქართველოს ხუთი საუკეთესო სპორტსმენი წლევანდელ სეზონში. ის, ვისაც მეტი ხმა დაუგროვდება, მონაწილეობას მიიღებს „სპორტლოტოს" 33-ე გათამაშებაში.

წერილები გამოგზავნეთ ამ მისამართით: თბილისი, ელიავას ქ. № 26, „სპორტლოტო".

„სპორტლოტოს" მორიგი, 29-ე ტირაჟი მოეწყობა 20 ოქტომბერს მოსკოვში.

ი. ლოპატკინი.

## რაიონებიდან სტრიქონები

### ზესტაფონი

რამდენიმე წელია ქვალითისა და ცხრაწყაროს სოფლის სკოლებს ტრადიციული მეგობრობა აკავშირებთ. ისინი ხშირად აწყობენ შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ახლახან ცხრაწყაროელები ქვალითელებს ეწვივნენ. მოეწყო ამხანაგური შეხვედრები სპორტის რამდენიმე სახეობაში. ქვალითელმა ფრენბურთელებმა (გოგონებმა და ჭაბუკებმა) და კალათბურთელებმა (ჭაბუკები) აჯობეს თავიანთ მეგობრებს, ცხრაწყაროელებმა კი გაიმარჯვეს კალათბურთში (გოგონები), ჭადრაკსა და შაშში. ნორჩ ფეხბურთელთა შეხვედრა ფრედ (0:0) დამთავრდა.

გ. ალექსიძე.

### ხობი

განათლების მუშაკთა დღეს მიეძღვნა რაიონული ტურნირი მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა სხვადასხვა სკოლის 22 პედაგოგი. მაგიდის ჩოგბურთში I ადგილი დაიკავა სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ი. სტეფანოვმა. ჭადრაკში პირველობა არავის დაუთმო სოფელ საჯიჯაოს საშუალო სკოლის დირექტორმა ი. შამათავამ.

ზ. სერგია.

## სსრ კავშირის პირველობა

### გამარჯვება, მარცხი

10 ოქტომბერს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

ცსკა — „არარატი" 0:1.

ამ პრინციპულ მატჩში, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ საპრიზო ადგილის პრეტენდენტები, თავი გამოიჩინეს ერევნელებმა, რომლებმაც საუცხოოდ ითამაშეს და რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნეს მეტოქის კართან. 87-ე წუთზე ზანაზანიანმა გაიტანა გადამწყვეტი გოლი და ეს ფეხბურთელი ახლა გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის" პრიზის ერთ-ერთი პრეტენდენტია დედაქალაქის სტადიონებზე გატანილი ლამაზი გოლისთვის.

„დნეპრი" — ასკ 1:0.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „დნეპრი" ჩემპიონატის ფინიშზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს საპრიზო ადგილის დაკავებაზე. მასპინძლებს გოლის გატანის არაერთი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ წარმატებას მხოლოდ 85-ე წუთზე მიაღწიეს, როცა რომანიუკი პირისპირ დარჩა არმიელთა მეკარესთან და ზუსტად დაარტყა.

„დინამო" (კიევი) — „ყაირათი" 1:0.

სრული ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, კიეველებმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს. ერთადერთი გოლი 82-ე წუთზე გაიტანა ტროშკინმა.

„დინამო" (მინსკი) — „ტორპედო" 0:2.

მასპინძლებმა ვერ გაუძლეს „ტორპედოს" ძლიერ იერიშებს, რომელიც მთელი მონდომებით თამაშობდა. მინსკელთა კარში ბურთები გაიტანეს დეგტიარიოვმა და სმირნოვმა.

„კარპატი" — „ზარია" 2:2.

„ზარიას" თავდამსხმელი ს კუკსოვის მიერ პირველ წუთზე გატანილი გოლი ჯერ კოზინკევიჩმა გაქვითა, ხოლო შემდეგ ბროვარსკიმ დააწინაურა „კარპატი". ლიდერმა შესვენების შემდეგ შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 2:2. გოლი გაიტანა ონიშჩენკომ.

### უმაღლესი ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 25 | 14 | 7 | 4 | 45—23 | 35 |
| ცსკა | 27 | 14 | 3 | 10 | 33—29 | 31 |
| „დნეპრი" | 26 | 10 | 10 | 6 | 33—32 | 30 |
| „არარატი" | 25 | 11 | 7 | 7 | 35—25 | 29 |
| „დ." (თბ.) | 25 | 10 | 9 | 6 | 33—29 | 29 |
| „დ." (მნ.) | 26 | 9 | 10 | 7 | 26—23 | 28 |
| „ზენიტი" | 27 | 8 | 11 | 8 | 32—28 | 27 |
| „ტორპედო" | 25 | 10 | 7 | 8 | 28—29 | 27 |
| „დინ." (კ.) | 24 | 9 | 8 | 7 | 35—28 | 26 |
| „დინ". (მ.) | 24 | 11 | 3 | 10 | 33—28 | 25 |
| ასკ | 26 | 7 | 9 | 10 | 28—31 | 23 |
| „სპარტაკი" | 24 | 8 | 6 | 10 | 26—24 | 22 |
| „ყაირათი" | 26 | 5 | 12 | 9 | 19—24 | 22 |
| „კარპატი" | 26 | 7 | 7 | 12 | 22—37 | 21 |
| „ნეფთჩი" | 26 | 5 | 7 | 14 | 23—45 | 17 |
| „ლოკომ." | 26 | 4 | 8 | 14 | 24—40 | 16 |

## მილიონთა თასი გათამაშდა

შახტი. აქ შედგა სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩი ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდებს შორის, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ „ალმასი" (მოსკოვი) და „ზარია" (კალუგა).

მატჩი მოიგო „ალმასმა" — 3:1, რომელიც დაეუფლა კიდეც საპატიო თასს.

## უღირსეულოდ იმედი ამოიწურა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 10 ოქტომბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „შახტიორი" (დონეცკი) 0:2 (0:1).

„ტორპედო": კავაზაშვილი (გრძელიშვილი), მაზიაშვილი, პეტროვი, ფრიდმანი, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ლენიოვი, ჭოლაძე (მირონოვი), ფესტვენიძე (შელია), ხერხაძე, ჯ. სილაგაძე.

„შახტიორი": დეგტიარევი, იარემჩენკო, შკლიარი, ბელოუსოვი, გუბიჩი, კლიუჩკო, ვასინი, კონკოვი, პროკოპენკო, დუდინსკი, საფონოვი.

მსაჯი ვ. ალოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 1:1.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო იმ მატჩის მნიშვნელობა, სადაც ქუთაისის „ტორპედოსთვის" წყდებოდა საკითხი შეინარჩუნებდა თუ არა იგი შანსს უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად. თამაშის მოგება გუნდისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, მაგრამ ზუსტად ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ დონეცკელებიც, რომელთა წინაშეც ანალოგიური გადაუდებელი ამოცანა იყო დასახული.

ამ ორი გუნდის ბრძოლაში გაიმარჯვა იმან, ვინც უფრო მობილიზებული იყო და მეტი სანებისყოფო თვისებები გამოიჩინა. ასეთი აღმოჩნდა „შახტიორი". სტუმრები იშვიათად უშვებდნენ შეცდომას, მაშინ, როცა ქუთაისელთა რიგებში ეს გაცილებით უფრო ხშირად ხდებოდა. ცდებოდნენ როგორც თავდამსხმელები, ისე მცველებიც.

კავაზაშვილს დასაწყისშივე მოუხდა კონკოვის ძნელი ბურთის აღება, შემდეგ კი დუდინსკიმ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცილა ბურთი მიზანს. ეპიზოდური კონტრშეტევები ტორპედოელებსაც ჰქონდათ, თუმცა „შახტიორის" კართან რეალური საშიშროება არ შექმნილა.

შუა ტაიმში ქუთაისელებმა რამდენადმე გამოასწორეს თამაში, ფესტვენიძესა და სილაგაძეს მიეცათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ მათი გადამწყვეტი დარტყმები არ იყო ზუსტი, ამას გარდა, დეგტიარევმა შეძლო კუთხურზე მოეგერიებინა მაზიაშვილის შორეული დარტყმა.

41-ე წუთზე საფონოვმა მოულოდნელად დაარტყა კარში. კავაზაშვილმა ამ მომენტში სწორად არ შეარჩია პოზიცია, ბურთი მოხვდა ძელს და ჩაეშვა ბადეში — 1:0.

შესვენების შემდეგ „ტორპედოს" თავდამსხმელები ხშირად კარგავდნენ ბურთს. მირონოვმა ორჯერ ვერ გამოიყენა კარგი შესაძლებლობა, ვერ გამოიჩინეს თავი ხერხაძემ და სილაგაძემაც. ამით კარგად ისარგებლეს დონეცკელებმა და როცა კავაზაშვილმა მეორე იოლი ბურთი გაუშვა გუბიჩისგან, მატჩის ბედი ნათელი შეიქნა. ქუთაისელები დამარცხდნენ და ფაქტიურად დაკარგეს იმედი იბრძოლონ უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის.

შ. ნიჟარაძე,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## I ლიგა

### ასეა ფინიში

ასე დამთავრდა: „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 2:0, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „დინამო" (ლენინგრადი) 2:1, „კრივბასი" (კრივოი როგი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 3:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „შინიკი" (იაროსლავლი) 3:0, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 3:2, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 2:1, „პამირი" (დუშანბე) — „ზვეზდა" (პერმი) 1:0, „ალგა" (ფრუნზე) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 2:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 1:2.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

● „კოლხეთი" (ხობი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „ვარკეთილი" (გარდაბანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:2. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

გარდაბნელთა კარში 2 ბურთი გატანილ იქნა ნაჭყებიასა და ქილიფთარის მიერ.

ხულიგნური საქციელისთვის მინდვრიდან გაძევებული არიან თბილისელი ა. ახვლედიანი და გარდაბნელი გ. სიმონიშვილი.

● „კახეთი" (თელავი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 4:3. მსაჯი ლ. ლონდაძე (თბილისი).

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 3:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

შესვენებისთვის დაწინაურდა „სალხინო", რომლის მოთამაშეებმა დარჯანიამ და ოდიშარიამ 2 ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში. შემდგომში ბრძოლა განსაკუთრებული დაძაბულობით ხასიათდებოდა. ცხაკაიელებმა ქაჩიბაიამ და რუხაიამ 2 ბურთი გაქვითეს, მაგრამ დარჯანიას გადამწყვეტმა გოლმა გამარჯვება მოუტანა „სალხინოს".

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ივერია" (ხაშური) 1:0. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

გოლი, რომელმაც მატჩის ბედი ლიდერის სასარგებლოდ გადაწყვიტა, სტუმრების კარში გაიტანა მანჯგალაძემ.

● „მეშახტე" (ტყიბული) — „გიგანტი" (ლაითური) 3:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

ტყიბულელი ფეხბურთელები წინ იყვნენ ანგარიშით 3:0 (ძაგნიძე, გიორგობიანი, ტროინი), მაგრამ მათ შემდგომში მოადუნეს თამაში და 2 გოლი გაუშვეს საკუთარ კარში (თავბერიძე, გოგიბერიძე).

● „განთიადი" (ბორჯომი) — „სულორი" (ვანი) 2:1. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

ბორჯომელმა ფეხბურთელებმა ბოლო ხანებში საგრძნობლად გამოაკეთეს თამაში. განვლილ მატჩში ისინი დაწინაურდნენ პირველ ტაიმშივე გუგუბერიძის მიერ გატანილი 2 გოლის წყალობით. ვანელებმა (ჩახუნაშვილი) შეძლეს მხოლოდ სხვაობის შემცირება ანგარიშში.

● „კოლმეურნე" (წულუკიძე) — „სამცხე" (აწყური) 3:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. მასპინძლებმა დიდი ანგარიშით გამარჯვებას შესვენების შემდეგ მიაღწიეს. ბურთები გაიტანეს მელაძემ, უგულავამ და ანდრიაძემ.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „ისანი" (თბილისი) 1:1. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

● ასკ (თბილისი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 0:0. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).

● „სულორი" (ვანი) — „გიგანტი" (ლაითური) 0:2. მსაჯი მ. ლოსაბერიძე (ქუთაისი).

● ასკ (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 2:2. მსაჯი ჯ. მგელაძე (თბილისი).

მსაჯთან შეკამათებისთვის გაფრთხილებულია არმიელი გ. კოსტავა.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„კოლმეურნე" (ტიბაანი) — „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) 1:2, „ალაზანი" (გურჯაანი) — „მევენახე" (ბოლნისი) 3:0, „ავტომობილისტი" (ცხინვალი) — „დურუჯი" (ყვარელი) 5:3, „ცისკარი" (სიღნაღი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 1:0.

ახალციხის „მესხეთს" გამარჯვება ჩაეთვალა ვაზისუბნის „მევენახესთან".

#### II ზონა

„დინამო" (ქუთაისი) — „მზიური" (გალი) 1:1, „სამგურალი" (წყალტუბო) — „დიოსკურია" (სოხუმი) 2:2, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „სქური" (წალენჯიხა) 3:3, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:2, „კომეტა" (ფოთი) — „საირმე" მაიაკოვსკი) 1:1, „განთიადი" (აბაშა) — „განახლება" (ადიგენი) 1:1.

ოჩამჩირის „ამირანს" გამარჯვება ჩაეთვალა საჩხერის „ჩიხურასთან".

### ზონალური პირველობა

„ლიახვი" (გორის რაიონი) — „ფერიქარი" (ქუთაისი) 2:2, ერედვის საბჭოთა მეურნეობა (ცხინვალი) — „რუბეროიდი" (გარდაბანი) 0:3, „ავტომობილისტი" (ჩაქვი) — „ყინწვისი" (ქარელი) 3:0.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 12 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 32 | 22 | 8 | 2 | 59—30 | 52 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 32 | 21 | 7 | 4 | 67—27 | 49 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 32 | 18 | 9 | 5 | 56—22 | 45 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 31 | 14 | 9 | 8 | 45—43 | 37 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 32 | 12 | 12 | 8 | 51—42 | 36 |
| „სულორი" (ვანი) | 33 | 14 | 8 | 11 | 36—29 | 36 |
| „კახეთი" (თელავი) | 30 | 15 | 5 | 10 | 44—41 | 35 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 31 | 12 | 9 | 10 | 28—29 | 33 |
| „სამცხე" (აწყური) | 33 | 12 | 8 | 13 | 56—50 | 32 |
| „ისანი" (თბილისი) | 33 | 11 | 10 | 12 | 31—33 | 32 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 30 | 11 | 9 | 10 | 52—40 | 31 |
| „ივერია" (ხაშური) | 33 | 12 | 5 | 16 | 31—53 | 29 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 32 | 12 | 4 | 16 | 52—50 | 28 |
| ასკ (თბილისი) | 31 | 7 | 13 | 11 | 37—38 | 27 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 31 | 9 | 9 | 13 | 24—34 | 27 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 32 | 10 | 7 | 15 | 35—51 | 27 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 32 | 10 | 6 | 16 | 38—55 | 26 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 30 | 8 | 8 | 14 | 36—41 | 24 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 32 | 7 | 9 | 16 | 45—58 | 23 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 32 | 5 | 8 | 19 | 23—47 | 18 |
| „კოლმეურნე" (წულუკიძე) | 30 | 5 | 7 | 18 | 16—49 | 17 |

## ტრადიცია შეიცვალა

ტრადიციულად ასე იყო: მოტოკროსში საკავშირო ჩემპიონატი სტარტს ადრიან გაზაფხულზე იღებდა რუსთავში, თბილისსა და სოხუმში გამართული შეჯიბრებებით. წლეულს წინა სამი ეტაპის ტურნირებს სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქის ტრასები მასპინძლობდა, IV და V ეტაპის შეჯიბრებები კი რუსთავსა და თბილისში უნდა გამართულიყო და საპრიზო ადგილების ბედიც საბოლოოდ გაირკვეოდა.

კვირას რუსთავში ჩატარდა IV ეტაპის რბოლა. მრბოლელთა საყურებლად მეტალურგთა ქალაქის ათასობით სპორტის მოყვარული შეიკრიბა. 250 და 500 კბ სმ მოცულობის მანქანებით სარბიელზე 53 სპორტსმენი უნდა გამოსულიყო. მონაწილეებს საქართველოს დოსააფის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თადარიგის პოლკოვნიკი გ. შავგირაძე მიესალმა და ტურნირიც დაიწყო.

მოასპარეზეთ ორ-ორი ცდის უფლება ეძლეოდათ. თითო ცდისთვის სპორტსმენებს 35 წუთი უნდა დაეხარჯათ, რის შემდეგაც ლიდერს დამატებით ორი წრის შემოვლის უფლება ეძლეოდა. თუ ვინმე ამ პერიოდში მდგომარეობის გამოსწორებას შეძლებდა, ის სატურნირო ცხრილში რამდენიმე საფეხურითაც გადაინაცვლებდა.

250-ანებით შეჯიბრებაში 25 კაცი ჩაება. როცა მსაჯთა კოლეგიამ ყველა რბოლის შედეგები შეაჯამა, კიეველთა უპირატესობა აშკარა გახდა. I-IV ადგილები ამ ქალაქის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს. ყველას საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. კავინოვმა აჯობა. II ადგილზე ასევე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ლ. შინკარენკო გავიდა. მომდევნო ადგილები სპორტის ოსტატებს ა. კიბირინსა და ე. რიბალჩენკოს ხვდათ. მაგრამ ამ კლასში საბოლოო გამარჯვებისთვის დავა ამით არ დამთავრებულა. სპორტსმენები ოქროს მედლებისთვის ბრძოლას 15 ოქტომბერს თბილისში, დელისის მიდამოებში დაამთავრებენ.

რაც შეეხება 500-ანებით ასპარეზობას, რუსთავის ეტაპზე ბედმა კიეველ ა. მანდრიჩენკოს გაუღიმა. შეჯიბრების ლიდერი, ასევე კიეველი ვ. კრასნოშჩოკოვი, რომელსაც წინა სამი ეტაპის შემდეგ ყველაზე მეტი ქულა ჰქონდა, აქ IV ადგილს დასჯერდა, მაგრამ საბოლოოდ ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სპორტსმენს ოქროს მედლისთვის ბრძოლა რუსთავში დაემთავრებინა. კრასნოშჩოკოვს საბოლოოდ 53 ქულა მოუგროვდა და დელისში კიდეც რომ არ გამოვიდეს, პირველობა უზრუნველყოფილი აქვს. რუსთავში II ადგილზე გავიდა ლენინგრადელი ა. ბაჩკოვი, III ნ. ეფიმოვი (მოსკოვი).

საქართველოს მოტოკროსმენები ცუდად გამოდიან. რუსთავში საუკეთესო VII ადგილი ვ. მანუკიანმა (ასკ) დაისაკუთრა 250-ანებით რბოლაში.

ო. კიკნაველიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: შეჯიბრების სტარტი; ძნელ მოსახვევთან.





ინტერვიუ „64“-ის კორესპონდენტს

# ბორის სპასკი რეიკიავიკში მატჩის შესახებ

● საბჭოთა კავშირის ყველა ჭადრაკის მოყვარული დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მსოფლიო პირველობაზე მატჩს. კითხულობდნენ რეიკიავიკიდან გამოგზავნილ წერილებს, უსმენდნენ რადიოს. მეტად საინტერესო იქნებოდა გაგვეგო, უშუალოდ თქვენ როგორ წარმოგიდგათ სპორტული ბრძოლა?

— მატჩის დამთავრების შემდეგ დიდი ხანი როდია გასული. მე კიდევ მომიწევს ნათამაშევი პარტიების ანალიზის გაგრძელება. ახლა ამით ვარ დაკავებული და, ვფიქრობ, კიდევ არა ერთი და ორი თვე დამჭირდება. ამიტომ იძულებული ვარ შემოვიფარგლო მოკლე განცხადებებით, რადგან საბოლოო დასკვნების დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა.

პირველ პარტიაში ორივე მეტოქე ნერვიულობდა. რობერტ ფიშერმა კუთი აიყვანა h2 პაიკი, რადგან თამაშის მსვლელობის გარდატეხა სურდა. შემდეგ მას ყაიმისთვის მოუხდა ბრძოლა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

მეორე პარტია, როცა ფიშერი არ გამოცხადდა, მაინცდამაინც დიდი შეღავათი არ იყო ჩემთვის. მე მივიღე ქულა, მაგრამ, ვფიქრობ, ბედმა არ გამიღიმა. ფიშერი სათამაშოდ რომ მოსულიყო, პარტიის დებიუტი ალბათ ბევრ რამეში მეოთხე პარტიის დებიუტის ანალოგიური იქნებოდა. მაგრამ მეოთხეს მე ვთამაშობდი, მესამე პარტიის შემდეგ, რომელმაც მატჩში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. მაშინ მოხდა ისეთი მოვლენები, რამაც ჩემზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

მესამე პარტიის წინ მე დავთანხმდი დახურულ შენობაში, მაყურებლების გარეშე თამაშზე და ა. შ. მე აღმოვჩნდი ილუზიების ტყვეობაში, თითქოს ფიშერს მატჩის ჩაშლა უნდა და ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრების გადარჩენის შემდეგ შეიძლება შემდგომი ბრძოლა წმინდა საჭადრაკო ტრადიციების მიხედვით წარიმართოს. პარტიის წინ ფიშერისა და მატჩის არბიტრის, დიდოსტატ შმიდის დიალოგის უნებლიეთ მოწმე გავხდი. არ მინდა ყურადღება გავამახვილო ამ უსიამოვნო ეპიზოდზე, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ამერიკელმა დიდოსტატმა საკუთარ თავს მეტად თავისუფალი ლაპარაკის ნება მისცა. ამის მოსმენა უაღრესად არასასიამოვნო იყო.

ჩემი თანხმობა სატურნირო დარბაზიდან დახურულ ოთახში თამაშის გადატანის დაუსაბუთებელ მოთხოვნაზე დიდი ფსიქოლოგიური შეცდომა იყო. როგორც ცნობილია, მატჩს წინ უძღოდა ხანგრძლივი ალიაქოთი, რამაც არაქათი გამომაცალა. მესამე პარტიის წინ დაშვებული ფსიქოლოგიური შეცდომის შემდეგ სწრაფად მივხვდი მომხდარ ამბებზე ჩემი წარმოდგენების მცდარობას და ამით თითქოს ხაზი გადავუსვი მატჩამდე ჩემი ქცევის მთელ სწორ ხაზს. ამას გარდა, ჩემზე უარყოფითი გავლენა მოახდინა იმის შეგნებამ, რომ მეორე პარტიაში პარტნიორის გამოუცხადებლობის გამო ქულის მიღების შემდეგ, ასე ვთქვათ, ვალში ვიყავი.

III პარტიის მიწურულს მე დავარღვიე წესი, რომელსაც განუხრელად მივდევდი — დაფაზე 41-ე სვლა გავაკეთე, ნაცვლად იმისა, რომ იგი ჩამეწერა. ჩემი თავისთვის ჩვეულებისამებრ კონტროლი რომ გამეწია, სვლა ჩაწერილი იქნებოდა, ხოლო 41. მფe1 პარტიის გადარჩენის შანსებს იძლეოდა.

მომდევნო, მეოთხე პარტიაში, დებიუტში ფიშერის შეცდომის შემდეგ, მოგების შესაძლებლობა მომეცა. პარტია დაძაბული ბრძოლით აღსავსე, ერთი სიტყვით, საინტერესო იყო და აი, აქ მოვტყდი. უნდა ითქვას, რომ ეს დასკვნა წინასწარია. მე, ასე ვთქვათ, ცხელ კვალს მივყვები, ხოლო ფხიზელი საბოლოო დასკვნებისთვის ჯერ კიდევ ანალიზია საჭირო.

მეხუთე და მეექვსე პარტიებში ჩემი თამაშისთვის დამახასიათებელია ერთგვარი იმპულსურობა, ზედმეტი ნერვიულობა. იქნებ, მატჩის წინ და პირველ პარტიებში გადატანილმა დაძაბულობამ იმოქმედა. უნდა აღინიშნოს, რომ ფიშერმა მეექვსე პარტიაში კარგად გაიმარჯვა. ეს, ალბათ, მისი საუკეთესო პარტია იყო მატჩში.

მეშვიდე პარტიაში ფიშერმა გამარჯვების შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა. მერვე პარტიაში თითქმის ერთი საათის ფიქრის შემდეგ „ამერიკის აღმოჩენის“ სურვილით ისე დავიდალე, რომ მეტად უხეში შეცდომა დავუშვი, საჭირო იყო არა ნაწარმოების მთლიანობისკენ ასე ჟიუტად სწრაფვა, არამედ დაკმაყოფილება უფრო მშვიდი ტექნიკური თამაშით, როგორც ფიშერი იქცევა.

ნათამაშევი პარტიების გადათვალიერების შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ზედმეტად ვნერვიულობდი. ეს ჩემი თამაში არ იყო. ამავე დროს საჭირო იყო პარტნიორის ორქულიანი უპირატესობის ნიველირება.



მეცხრე პარტიაში მშვიდი ყაიმის შემდეგ, მეათეში საკმაოდ საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. ბოლოს და ბოლოს ყაიმიც კი გავუშვი ხელიდან, მაშინ, როცა გამარჯვებისთვის ბრძოლის საფუძველი მქონდა.

ანგარიშში სამქულიანი სხვაობისას გრძნობ, რომ მშვიდად ბრძოლა მეტად ძნელია. მაგრამ მეათე პარტიაში დამარცხებას ჩემზე მძიმედ არ უმოქმედია. ვფიქრობდი, რომ გავხალისდებოდი, რომ ბრძოლა კიდევ წინ იყო...

მეთერთმეტე პარტიაში ფიშერი თამაშობდა თავის ძირითად ვარიანტს ლ:b2-ით, მაგრამ თავს მაინცდამაინც კარგად ვერ იცავდა და გამარჯვება შევძელი. გაჩნდა გარდატეხის შანსი... თითქოს მატჩის მეორე სტადია დაიწყო.

მეთორმეტე პარტიაში ყაიმმა სხვაობა ისევ ორქულიანი დატოვა, ხოლო მნიშვნელოვანი მეცამეტე პარტია ძნელი გამოდგა. მე დებიუტში შევცდი და პაიკი უნდა შემეწირა. ფიშერმა, როგორც იტყვიან, თამაში მომცა. შანსი სათანადოდ ვერ გამოვიყენე. უპირატესობა პარტნიორის ხელში გადავიდა, მაგრამ გადადებისწინა სტადია მან დამაჯერებლად ვერ ჩაატარა და პარტია მეტად მწვავე მდგომარეობაში გადავდეთ. შემდგომმა ანალიზმა იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ მოსალოდნელი შედეგი ყაიმი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ, მე ძალიან დიდხანს ვფიქრობდი ჩაწერილ სვლაზე და ცაიტნოტში მოვხვდი. თამაშის განახლების შემდეგ კიდევ ერთი ცაიტნოტი მქონდა. ფიშერმა დაბოლოებაში ერთ სვლაზე მთელ საათს იფიქრა! ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული პარტია იყო. ცუდია, რომ ქრონოგრამები არ გვაქვს. დავით ბრონშტეინმა პირველმა აღნიშნა ქრონოგრამების აუცილებლობა ბრძოლის შემდგომი ანალიზისთვის.

ამ პარტიის დამთავრებისას ბევრჯერ მომეცა ყაიმის შანსი. ფიშერმა პრაქტიკულ გზას მიაგნო და „მაიძულა“ შეცდომა დამეშვა. განსხვავებამ კვლავ კრიტიკულ სამქულიან ნიშანს მიაღწია, შემოქმედება განახლდა.

მეთოთხმეტე პარტიაში მე საშინელი შეცდომა (f6) დავუშვი. შეიძლება ეს მანამდე გადატანილი ზედმეტად დაძაბული ბრძოლის შედეგი იყო. მაგრამ ახლა, ცოტა რომ დავწყნარდი, უნდა ვთქვა: არ შემიძლია ავხსნა ზოგიერთი შეცდომა.

მატჩის მეორე სტადიაში უფრო გამოწომილად, კაპიტალურად ვთამაშობდი, ისე, როგორც საჭიროა მატჩებში თამაში. საინტერესოა, რომ ორთაბრძოლის ბოლომდე მიმაჩნდა, მოგება შემიძლია-მეთქი.

მე-13 პარტიის შემდეგ სასტუმრო მივატოვე და ერთ პატარა სახლში გადავედი. იმ დროისთვის რეიკიავიკში ჩემი ცოლი ჩამოვიდა.

მე-14-დან 21-ე პარტიამდე ფიშერი თავის თავს არ ჰგავდა. შეიძლება ეგონა, რომ ქულების მარაგი პასიურად თამაშის საშუალებას აძლევდა, აქ ანალიზია საჭირო.

მეთხუთმეტე პარტიაში ფიშერი უპაიკოდ დარჩა უარეს პოზიციაში. მე საუკეთესო გზას ვეძებდი, მაგრამ ვერ მივაგენი. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ხელიდან ვუშვებდი კარგ შანსს მეთოთხმეტედან ყოველ პარტიაში. მე-18 და მე-20 პარტიებში აშკარა შანსი მქონდა. ოთხჯერ-ხუთჯერ საქმე „ფრონტის გარღვევაზე“ მივიდა, თითქოს კიდევ ერთი დარტყმა და მეტოქე დამარცხებული იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გადამწყვეტი დარტყმა ვერ შევძელი.

ვხედავდი, რომ მეტოქე გამოფიტული იყო, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმისთვის ენერგია არ მეყო.

ვფიქრობ, ყველაზე კარგი პარტია მატჩში მე-19, ალიოხინის დაცვაა.

მე-20 პარტიის შემდეგ, სადაც ორილი გზით მოგება ხელიდან გავუშვი, ჩემი თამაშის დონემ იკლო, ხოლო ოცდამეერთე პარტიაში ყაიმი არითმეტიკულად არ მაძლევდა ხელს და რამდენჯერმე თავი ავარიდე მას. ენდშპილში ინიციატივა ფიშერმა იგდო ხელთ. დაბოლოებაში ყაიმის შანსი იყო, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ფიშერმა დამაჯერებელ სპორტულ შედეგს მიაღწია. მისი თამაშის ხარისხი უფრო მაღალი იყო — ეს უმთავრესად ეხება მატჩის პირველ სტადიას. მეორეში მისი თამაში უფრო უფერული ჩანდა.

მე განვაგრძობ პარტიების შესწავლას და ვფიქრობ, რომ ბევრ გასაკვირ მომენტს აღმოვაჩენ.

● როგორ აფასებთ მატჩის შემოქმედებითს მხარეს? თქვენს თამაშს? ფიშერის თამაშს?

— თავდაპირველად მონაწილეთა შესახებ. ჩემი თამაშით უკმაყოფილო ვარ. ამდენ შეცდომას უწინ არ ვუშვებდი.

№ 1 მოჭადრაკედ ფიშერი იქცა შემდეგი ძირითადი თავისებურებების გამო. პირველი — თამაშის ძალიან მაღალი ტექნიკა. ფიშერის „სვლის ფასი“ დებიუტში განსაკუთრებით მაღალია. ამ სტადიაში იგი თანმიმდევრულად ცდილობს საუკეთესო სვლის გაკეთებას. შემდეგ, მიტელშპილში, იგი პირველ ყოვლისა ცდილობს ეკონომიურად დახარჯოს ძალები, აკეთებს, შეიძლება საუკეთესო არა, მაგრამ კარგ სვლებს. ფიშერის მეორე თავისებურებაა უდიდესი ენერგია, შრომისუნარიანობა — მას შეუძლია იბრძოლოს ბოლომდე, „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“. ასეთი ენერგია უფლებას აძლევს მუდამ დაძაბული ჰყავდეს მეტოქე, პრობლემები დაუსახოს მას.

ამას გარდა, ფიშერი ზუსტად გრძნობს პარტნიორის განწყობილებას და ფიზიკურ მდგომარეობას.

სადებიუტო სტადიაში მატჩმა თითქოს ბევრი საინტერესო იდეა მოგვცა. 1966 და 1969 წლების მატჩები ამ მხრივ უფრო ღარიბი იყო. ალიოხინის დაცვა — როგორც სიცილიური დაცვისგან (ამჟამად ყველაზე პოპულარული დასაწყისიდან) დახევის გზა — ახლებურადაა გაშუქებული. ფიშერის სადებიუტო რეპერტუარის გაფართოება მოულოდნელი არ იყო. დებიუტში იგი ჩემზე მეტადაა ერუდირებული და ასეთი ტაქტიკა ხელსაყრელად ესახებოდა. მაგრამ ფიშერს დებიუტში უპირატესობა არ ჰქონია.

ახლა რამდენიმე სიტყვა დებიუტიდან მიტელშპილში გადასვლის სტადიაზე. წინათ ეს მხარე ძლიერი მქონდა. მაგრამ მატჩის პირველ სტადიაში დავკარგე მნიშვნელოვანი იარაღი. როგორც ვთქვი, კაპიტალურობა აგზნებულობამ შეცვალა.

მატჩის წაგების შემდეგ ცოტა უხერხულია იმის თქმა, რომ მეტოქემ ახლებური მიდგომა და განსაკუთრებული სიღრმე ვერ გამოავლინა, მაგრამ გადაულახავი ძალა არ მიგრძვნია. ამასთან დაკავშირებით მახსენდება 1966 წლის მატჩი, როცა ტიგრან პეტროსიანმა თავისი ბასტიონების საიერიშოდ უბრალოდ არ მიმიშვა.

ფიშერი საკმაოდ სწრაფად თამაშობდა, მაგრამ იყო პარტიები, სადაც იგი დროის ხარჯვაში მასწრებდა.

● შეგიძლიათ თუ არა ილაპარაკოთ მატჩისთვის თქვენს მომზადებაზე, დაშვებული თუ იყო შეცდომები ან როგორი?

— მომზადებით საერთოდ კმაყოფილი ვარ. ფიზიკურ და სადებიუტო მომზადებას ვერ დავემდურები. ვფიქრობ, შეცდომა დავუშვი, როცა მატჩამდე დაახლოებით თვენახევრით ადრე ძლიერ ტურნირში არ ვითამაშე. საერთოდ, ბოლო წლებში ცოტას ვთამაშობდი.

● რა გავლენას ახდენდა ფიშერის დაუსრულებელი პრეტენზიები, მისი დაგვიანებები, ოფიციალურ აქტებზე გამოუცხადებლობა და სხვა თქვენს განწყობილებაზე მატჩის დროს, სპორტულ ფორმაზე?

— მე უკვე შევეხე ფიშერის ქცევას მესამე პარტიის წინ. ჩემი შეცდომის შედეგად დავრწმუნდი, რომ მატჩი, რომელიც დღესასწაულად მესახებოდა, დავად იქცა. სამკვირიანი ფსიქოლოგიური ბრძოლა „ერთ სვლაში“ წავაგე.

ჩემზე გავლენა არ მოუხდენია „პრეტენზიებს“ და ა. შ. გარდა იმისა, რომ ფიშერი მატჩის გახსნის ცერემონიაზე არ ჩამოვიდა და მეორე პარტიაზე არ გამოცხადდა.

● როგორია თქვენი მომავალი გეგმები?

— განვაგრძობ მატჩის პარტიების ანალიზს, ეს უკვე ვთქვი, მეორეც, მინდა მეტი ვითამაშო.

ვაპირებ მონაწილეობას 1975 წლის მსოფლიო პირველობაზე მატჩისთვის შესარჩევ შეჯიბრებაში, როგორც ფიდე-ს წესებითაა დადგენილი.

● პრესაში გამოქვეყნდა ვარაუდი ფიშერთან თქვენი განმეორებითი მატჩის (მატჩ-რევანშის) ჩატარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ამაზე რას იტყვით?

— თუ გაჩნდა შეხვედრის შესაძლებლობა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდები.

## ჩემპიონატები, გამარჯვები, ლიდერები

### ინგლისი

ლივერპულში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „ლივერპული“ და „ევერტონი“. უაღრესად საინტერესო მატჩი მოიგო „ლივერპულმა“ — 1:0. ეს ერთადერთი გოლი ცენტრფორვარდმა პ. კორმაკმა გაიტანა.

ლიდსში ადგილობრივმა „ლიდს იუნაიტედმა“ სასტიკად დაამარცხა ჩემპიონი — „დერბი ქაუნთი“ — 5:0.

„შეფილდ იუნაიტედმა“ შინ სძლია ლონდონის „არსენალს“ — 1:0. ამ შეხვედრაში მინდვრიდან გააძევეს ცნობილი ინგლისელი თავდამსხმელი ა. ბოლი, რომელიც „არსენალმა“ შარშან იყიდა.

აი, პირველი ოთხეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 12 | 25:12 | 18 |
| „ტოტენჰემი“ (ლონდ.) | 12 | 18:13 | 16 |
| „არსენალი“ | 13 | 17:10 | 16 |
| „ევერტონი“ | 12 | 14:9 | 15 |

### შოტლანდია

ჩემპიონატის VI ტურამდე წაუგებლად მხოლოდ „აბერდინმა“ მიაღწია, მაგრამ ამჯერად იგიც დამარცხდა — ედინბურგში წააგო „ჰართ ოვ მიდლოტიენთან“ — 1:2.

„სელტიკმა“ მოულოდნელად ქულა დაკარგა „ეირდრიონიენსთან“ — 1:1, ხოლო „გლაზგო რეინჯერსმა“ ფრედ ითამაშა „მორტონთან“ — 1:1.

მოწინავე სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 6 | 13:6 | 9 |
| „აბერდინი“ | 6 | 11:5 | 8 |
| „ჰიბერნიენი“ | 6 | 9:5 | 8 |

### პოლონეთი

გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზეა ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი — ზაბჟეს „გურნიკი“, რომელმაც მორიგ ტურში წააგო რიბნიკის „როვთან“ — 0:1. „გურნიკს“ ხუთ შეხვედრაში მხოლოდ 3 ქულა აქვს მოპოვებული.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გვარდია“ (ვარშ.) | 7 | 10:3 | 10 |
| „სტალი“ (მიელეცი) | 7 | 9:6 | 9 |
| ლსკ (ლოძი) | 8 | 9:6 | 9 |
| „რუხი“ (ხოჟუვი) | 5 | 7:1 | 8 |

### უნგრეთი

პირველობის გათამაშების III ტურში ჩემპიონი — ბუდაპეშტის „უიპეშტ დოჟა“ დამარცხდა დიერში „რაბა ეტო“-სთან — 0:1. „ჰონვედმა“ შინ მოუგო „დიოშ-დიერს“ (3:1) და ლიდერობა შეინარჩუნა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰონვედი“ (ბუდაპ.) | 3 | 7:2 | 6 |
| მტკ (ბუდაპეშტი) | 3 | 5:1 | 5 |
| „ფერენცვაროში“ (ბუდ.) | 3 | 9:6 | 4 |

### რუმინეთი

IV ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა ბუქარესტში, სადაც ადგილობრივი „დინამო“ ჩემპიონს — „არჯეშს“ შეხვდა. ჩემპიონი დამარცხდა — 1:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო“ (ბუქარ.) | 4 | 10:4 | 7 |
| ჩფრ (კლუჟი) | 4 | 4:1 | 6 |
| „პეტროლული“ (პლ.) | 4 | 3:1 | 6 |

### ჩეხოსლოვაკია

IX ტურში მორიგი გამარჯვება იზეიმა ლიდერმა — პრეშოვის „ტატრანმა“. ამჯერად მან პრაღის „სლავიას“ მოუგო — 2:0. ჩემპიონმა — ტრნავის „სპარტაკმა“ პრაგელ თანაკლუბელებს სძლია — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტატრანი“ | 9 | 17:3 | 17 |
| „ზკლ ჟილინა“ | 9 | 18:8 | 13 |
| „სპარტაკი“ (ტრნ.) | 9 | 16:8 | 12 |

### იუგოსლავია

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ კატალინსკის ერთადერთი გოლის წყალობით 2 ქულა აართვა ლიუბლიანის „ოლიმპიას“ (1:0) და კვლავ ლიდერობს.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ცრვენა ზვეზდა“ | 8 | 17:4 | 13 |
| „ველეჟი“ (მოსტარი) | 8 | 10:5 | 11 |
| „რადნიჩკი“ (ნიში) | 8 | 10:6 | 11 |
| „ჟელეზნიჩარი“ (სარ.) | 7 | 12:7 | 10 |

### ავსტრია

ვენაში ადგილობრივი „ვიენა“ დამარცხდა ჩემპიონთან — ინსბრუკის „სვაროვსკი-ვაკერთან“ — 1:3. ვენის „რაპიდმა“ ფრედ ითამაშა „გრაცერ აკს“-თან — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რაპიდი“ | 7 | 15:5 | 12 |
| „ადმირა-ვაკერი“ | 7 | 8:0 | 12 |
| „სვაროვსკი-ვაკერი“ | 7 | 13:7 | 9 |

### გფრ

IV ტურში მიუნხენის „ბაიერნმა“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა: 4 „მშრალი“ გოლი გაიტანა დასავლეთ ბერლინის „ჰერთას“ კარში.

„კაიზერსლაუტერნმა“ შინ მოუგო მენჰენგლადბახის „ბორუსიას“ — 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 4 | 13:1 | 8 |
| „კიკერსი“ (ოფენბ.) | 4 | 9:3 | 7 |
| „ბორუსია“ (მენჰენგ.) | 4 | 11:8 | 6 |

### იტალია

ამ ქვეყნის ჩემპიონატი გოლებით უხვი უკვე დიდი ხანია აღარ არის. მორიგ ტურში დაცვა თავდასხმაზე ძლიერი იყო: რვა შეხვედრაში სულ გატანილია 11 გოლი. ლიდერი — „მილანი“ ფრეს დასჯერდა I ლიგის დებიუტანტ „ტერნანასთან“ (0:0), მაგრამ შეძლო ლიდერობის შენარჩუნება.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მილანი“ | 2 | 4:0 | 3 |
| „რომა“ | 2 | 5:3 | 3 |
| „იუვენტუსი“ | 2 | 3:1 | 3 |

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### პორტუგალია

IV ტურში ლისაბონის „ბენფიკამ“ ა. ჟორჟეს (2), ბაპტისტასა და ჟორდაუს გოლების წყალობით 2 ქულა აართვა კოიმბრაში ადგილობრივ „აკადემიკას“ — 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 4 | 22:1 | 8 |
| „სპორტინგი“ (ლის.) | 4 | 10:1 | 8 |
| „ბელენენსეში“ (ლის.) | 4 | 8:4 | 7 |

### შვეიცარია

გათამაშების ლიდერმა — ციურიხის „გრასჰოპერსმა“ შინ პირდაპირ გაანადგურა „კიასო“ (7:0) და ლიდერობა განიმტკიცა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გრასჰოპერსი“ | 9 | 23:10 | 14 |
| „სერვეტი“ | 9 | 16:6 | 13 |
| „ვინტერტური“ | 9 | 19:10 | 12 |

### ჰოლანდია

ჩემპიონი — ამსტერდამის „აიაქსი“ კიდევ ერთხელ დამარცხდა: VIII ტურში მას მოუგო „ნაკ ბრედამ“ — 2:0. სამაგიეროდ, როტერდამის „ფეიენოორდმა“ „დენ ბოსხს“ სძლია (4:0) და ახლა ერთპიროვნული ლიდერია.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფეიენოორდი“ | 8 | 19:2 | 15 |
| „აიაქსი“ | 8 | 21:5 | 12 |
| „ფკ ჰააგა“ | 8 | 14:8 | 11 |

საკუთარი ინფორმაცია

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04663